პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 22 ოქტომბერი, 1943 წ. № 220 (6845). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხალხის შრომითი ურთიერთგამოძახება

„პრავდის“ მოწინავე—21 ოქტომბერი

ახლოვდება შესანიშნავი თარიღები — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავი და ლენინ-სტალინის პარტიის პირმშოს, ბოლგაზრდობის სრულიად-საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 25 წლისთავი. ამ ორი თარიღისათვის მომზადებამ შრომითი ენერგიის ახალი აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა ადამიანებში, რომელნიც რაზმავენ მთელ თავიანთ ძალებს შეტევის წითელი არმიისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის.

შარშან ბრძანებაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის დღის გამო თავდაცვის სახალხო კომისარი ამხანაგი სტალინი სწერდა:

„ჩვენმა საბჭოთა ხალხმა ღირსეულად გადაიტანა განსაცდელნი, რომლებიც მას წილად ხვდა, და აღსავსეა გამარჯვების ურყევი რწმენით. ომი გახდა საბჭოთა წყობილების ძალისა და სიმტკიცის მკაცრი შემოწმება. გერმანელი იმპერიალისტების ვარაუდი საბჭოთა სახელმწიფოს დაშლისა „ავსებით ჩაიფუშა. ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა მრეწველობამ, საკოლმეურნეო წყობილებამ, ხალხთა მეგობრობამ, საბჭოთა სახელმწიფომ—გვიჩვენეს თავიანთი სიმტკიცე და შეურყევლობა. ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები, მთელი ინტელიგენცია, მთელი ჩვენი ზურგი პატიოსნად და თავდადებით მუშაობენ ჩვენი ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად“.

ჩვენი სახელმწიფოს არსებობის ოცდამეექვსე წელი იყო საბჭოთა წყობილების, ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდის წელი. მთელი საბჭოთა ხალხი გაორკეცებული ენერგიით მუშაობდა ფრონტისათვის, და ახლა იგი უდიდესი სიამაყით იმკის თავისი თავდადებული შრომის ნაყოფს: წითელი არმია აღჭურვილია შესანიშნავი იარაღით, იგი ახალ გამანადგურებელ დარტყმებს აგებს მტერს, ქლეტს მის ყიჩაღურ ურდოებს, ანადგურებს მის ტექნიკას.

შარშან ამ დროს ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგეთან სტალინგრადის რაიონში და მოზდოკის რაიონში. დღეს სტალინგრადი და მოზდოკი შორეულ, ღრმა ზურგშია. მოზდოკიდან მელიტოპოლამდე, სტალინგრადიდან ზაპოროჟიემდე, ვორონეჟიდან კიევამდე, თერგიდან და ვოლგიდან პრიპიატამდე და დნეპრამდე წითელმა არმიამ განვლო დიადი სასახელო გზა, ერეკებოდა რა მტერს შეშბლიური ძიწა-წყლიდან. ასობით ქალაქი, ათასობით სოფელი, მილიონობით ჩვენი და-ძმანი გაათავისუფლა წითელმა არმიამ ჰიტლერული მონობიდან, დაუბრუნა მათ საბჭოთა ცხოვრება. გრძელდება მტრის მასობრივი განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან. ჩვენი ჯარები აფართოებენ თავიანთ პლაცდარმებს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, სწარმოებს ბრძოლა მარჯვენა ნაპირის უკრაინისათვის, ბრძოლა ბელორუსიისათვის, ბრძოლა გერმანელ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის.

დნეპრის ნიავს ფრონტზე მყოფ ჩვენს სახელოვან მეომრებთან ერთად გრძნობს ათეულმილიონობით საბჭოთა ადამიანი ზურგში. წითელი არმიის ახალ წარმატებათა ცნობებთან ერთად ჩვენს ქვეყანას მოსდის ცნობები მშრომელი მასების ახალ წარმატებათა შესახებ.

კომკავშირის იუბილეს დღემდე ერთი კვირა დარჩა. ოქტომბრის წლისთავამდე — სამ კვირაზე ნაკლები. დღესასწაულებისათვის მომზადებასთან ახლავს სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა ქალაქსა და სოფელში. მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე კოლექტივები ისწრაფვიან აცნობონ ჩვენს ქვეყანას თავიანთი ახალი მიღწევებისა და ოქტომბრის პირველი ნახევრის გეგმების ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ამბავი. თუჯის გამოდნობის ორი კვირის დავალება გადაჭარბებით შესრულეს საბჭოთა კავშირის უდიდესი მეტალურგიული ქარხნების — სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკისა და სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნების მებრძოლეებმა. გადიდდა ქვანახშირის ამოღება საბჭოთა კავშირის უმთავრეს ბასეინში — კუზბასში. და მისმა ორივე კომბინატმა — „კუზბასუგოლმა“ და „კემეროვუგოლმა“ — გადაჭარბებით შეასრულა ორი კვირის გეგმა. ოქტომბრის პირველი ნახევრის პროგრამა გადაჭარბებით შეასრულა მოსკოვის ქვანახშირის ბასეინმა. დღეს ქვეყნდება ცნობა, რომ ათი თვის გეგმა ვადამდე დაამთავრეს „როსტოველგოლის“ კომბინატის შახტებმა. მეშახტეთა წარმატებებს ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებული კმაყოფილებით ხვდება. დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქვანახშირის მრეწველობის იმ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც ომიანობის დროის ძნელ პირობებში უზრუნველჰყვეს მთელი სამხედრო იმდუსტრიის განუხრელი ზრდა. სამშობლო დიდად აფასებს მაღაროელთა გმირულ შრომას!

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში განსაკუთრებული აქტივობით მონაწილეობენ სამხედრო მრეწველობის მუშაკები. მატულობს საჭურვლისა და საომარი მასალის წარმოება. საავიაციო ქარხნეში, რომელთა დირექტორებიც არიან ამხ. აგაკანოვი, ლევინი, ბელიანსკი, გამოშვებულია ზეგეგმითი თვითმფრინავები. საარტილერიო ქარხნებში, რომელთა დირექტორებიც არიან ამხ. ელიანი, ბიხოვსკი, გონორი, გამოშვებულია ზეგეგმითი ზარბაზნები. ქარხნებმა, რომელთა დირექტორებიც არიან ამხ. ივანოვი, სისოევი და ფომინი, გეგმის გადამეტებით მოგვაცეს სასროლი შეიარაღება, ხოლო ქარხანამ, რომლის დირექტორიც არის ამხ. ბუტუზოვი, — ზეგეგმითი ვაზნები.

კარგი ამბები მოდის სოფლიდანაც. სმოლენსკინის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს პურის ჩაბარების გეგმა. მოსკოვის, არხანგელსკის, იაროსლავლის, კალინინის, ვოლოგდისა და ივანოვოს ოლქების კოლმეურნეობებმა დაამთავრეს კარტოფილის ამოღება. ივანოვოს ოლქში კარტოფილის მოსავალი შარშანდელს აღემატება საშუალოდ ერთნახევარჯერ, იაროსლავლის ოლქში კი შარშანდელზე ერთიორად მეტია. საკვების დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს თურქმენეთის კოლმეურნეობებმა.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის ოცდახუთი წლისთავის აღსანიშნავად მრავალი საწარმოს ახალგაზრდობა, მასთან ერთად კი ხნიერი მუშები და მუშა ქალებიც სტახანოვურ ვახტებზე დგებიან, ახალ ფრონტულ ბრიგადებს აწყობენ, შეაქვთ რაიონალიზატორული წინადადებანი, რომლებიც მიმართულია შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის კიდით კიდემდე სწარმოებს საბჭოთა ადამიანების ეს შრომითი ურთიერთგამოძახება!

წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის ასა ახალ-ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მეტალურგებმა და მაღაროელებმა, ტანკებისა და თვითმფრინავების, მოტორებისა და ავტომობილების მშენებლებმა, ენერგეტიკოსებმა და რკინიგზელებმა, ახალი ქარხნების მშენებლებმა და დანგრეულ ქალაქთა აღმდგენლებმა, კოლმეურნეებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშებმა, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ყველა რაზმმა. ამ ვალდებულებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ზამთრისათვის წარმატებითს მზადებას: ქარხნებსა და ელექტროსადგურებში — შეკეთდეს მოწყობილობა, შეიქმნას სათბობისა და ნედლეულის მარაგი; რკინიგზებზე — საუცხოო მდგომარეობაში მოყვანილ იქნას მოძრავი შემადგენლობა დალანდაგები; სოფლად — უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის თბილად და მაძღრისად გამოზამთრება, დროულად შეკეთდეს სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ინვენტარი. ჩამორჩენილ საწარმოთა კოლექტივებმა პირობა დაადეს მოწინავეებთან ერთად შეეგებონ დღესასწაულს.

ამოცანა ახლა ის არის, რომ უზრუნველყოთ შეჯიბრების ყველა მონაწილის მიერ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება. ხშირად ხომ ასე ხდება: ოლქში, ქალაქში, რაიონში მოწინავე ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები აღწევენ თავიანთი გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, ხოლო მათ ზურგს უკან იმალებიან ჩამორჩენილი საწარმოები. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კი ყოველთვის ვერ ამჩნევენ ჩამორჩენილთ, ყოველთვის ვერ ეხმარებიან მათ იმაში, რომ დაწინაურდნენ. ზურგის მუშაკების მიერ ოქტომბრის წლისთავის საუკეთესო შეხვედრა ის იქნება, რომ **ყველა** საწარმომ, რკინიგზამ, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულოს სახელმწიფო გეგმები.

წინასაოქტომბრო შეჯიბრების და კომკავშირის ოცდახუთი წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების ყველა მონაწილეს, რომელმაც პირობა დადო მიაღწიოს ახალ საწარმოო წარმატებებს, უნდა ახსოვდეს ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სიტყვები:

„ბოლშევიკის სიტყვა სერიოზული სიტყვაა. ბოლშევიკები ჩვეული არიან შეასრულონ დაპირებანი, რომელთაც ისინი იძლევიან“.

საბჭოთა ხელისუფლების ოცდაექვსი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა შეჰქმნეს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სახელმწიფო. გერმანელ უჯარმთა და ამპოხრეველთაგან თავიანთი მრავალი წლის შრომის ნაყოფის დასაცავად აღსდგა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. მაშ აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის XXVI წლისთავი ახალი საწარმოო წარმატებებით, რომელნაც განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერებას და აახლოებენ ჩვენს სრულ გამარჯვებას მტერზე!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

21 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

21 ოქტომბრის განმავლობაში ქალაქ მელიტოპოლის ჩრდილოეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონებში ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მხვლელობაშიც მტერი განდევნეს მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტებიდან და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები. ჭუჩებში გამართული გაფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ნაწილებმა სავსებით გაანწმინდეს მტრისაგან ქალაქ მელიტოპოლის ცენტრალური ნაწილი. მტერს უკავია ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილი. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ქალაქ კრემენჩუგის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას ცალკეულ უბნებზე, წინ წაწიეს 5-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი პეტროვო, აგრეთვე დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვესიოლი რაზდოლი, ოვსიანკა, მიხაილოვკა, ალექსანდროვკა, ნოვო-მანუილოვკა, ივანოვკა, სეკლეტინოვკა, ჟოლტაია რეკა, სოლდატსკი, ანოვკა, მარიანოვკა, ივაშინოვკა, გრუშევატკა.

კიევის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლებს მტეროან პლაცდარმის გასაფართოებლად დნეპრის მარჯვენა ნაპირზე.

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად მდ. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და დაიკავეს მტრის დასაყრდენი პუნქტები ჩაპლინი, სტაროდუბკა, კაზიბიროვკა, ისკრა, ნივა, ფოსხოდი.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული ზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლაა.

20 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 22 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 80 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ მელიტოპოლის ჩრდილოეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მტერი განდევნეს მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტებიდან. ქალაქ მელიტოპოლში გრძელდებოდა გაფთრებული ბრძოლები ჭუჩებში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ახალი ძალები მოიშველიეს ფრონტის სხვა უბნებიდან, ჩვენმა ჯარებმა დღეს სავსებით დაიკავეს ქალაქის ცენტრალური ნაწილი. ჰიტლერელთა ყოველ ცდას აღდგინათ მდგომარეობა წარმატება არა ჰქონია. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში გაჟლეტილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ქალაქის მტრისაგან გაწმენდილ ჭუჩებში გერმანელებმა მიატოვეს ათობით დამსხვრეული და დაწეული ტანკი, ჯავშნიანი მანქანები, თვითმავალი ქვემეხები და სხვა სამხედრო ტექნიკა. დღეს ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს რკინიგზის პლატფორმები 12 ვარგის ტანკიანად, თვითმავალ ქვემეხებიანად და სამარი მასალის საწყობი.

* * *

ქალაქ კრემენჩუგის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. საბჭოთა სატანკო და მსროლელი ნაწილები სწრაფად მიიწევდნენ წინ და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი პეტროვო. მტერს უდიდესი ზარალი მოსდის და უკან იხევს ჩვენი ჯარების დარტყმების გამო, ჭაოს საჭურველს და სტოვებს საწყობებს სამხედრო მასალიანად. ნ შენაერთის მებრძოლებმა ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში გაჟლეტეს 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 26 ქვემეხი, 80 ტყვიამფრქვევი, 60 ავტომანქანა და ბევრი სხვა დავლა. სხვა უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკი და ტყვედ წამოიყვანეს მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა ძნიშვნელოვანი რაოდენობა. ხელთ იგდეთ მექანიკური წელი, რამდენიმე საარტილერიო ბატარეა.

ჩვენი ავიაცია დახმარებას უწევდა სახმელეთო ნაწილების საბრძოლო მოქმედებას და ურტყამდა მტრის ჯარებს. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 52 თვითმფრინავი.

* * *

კიევის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლას პლაცდარმის გასაფართოებლად დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. მტერი ცდილობდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა და არაერთგზის მოიტანა კონტრიერიშები. ნ შენაერთის ნაწილებმა გასტეხს გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, შეიჭრნენ ერთ დასახლებულ პუნქტში და ქუჩებში გამართულ გაფთრებულ ბრძოლაში გასწყვიტეს მტრის გარნიზონი. სხვა ობანზე ნ ნაწილის მებრძოლები გარშემორტყმენ მტრის ქვეითი ჯარის ბატალიონს. გარშემორტყმული. პანიკით მოცული ჰიტლერელები აქეთ-იქით აფეთქტნენ და მეტწილად გაწყვეტილი იქნენ. ხელთ იგდეთ 2 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 20 ქვემეხი და 30 ნაღმსატყორცნი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლას პლაცდარმის გასაფართოებლად დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. ნ შენაერთის ნაწილებმა. მძლავრი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ, იერიში მიიტანეს გერმანელებზე და გაარღვიეს მათი სიმაგრენი. შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ საბჭოთა სატანკო ნაწილები. ჩვენმა ტანკისტებმა სწრაფად წაიწიეს წინ და მთელ რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. არასრული ცნობებით, მოსპობილია მტრის 3000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 12 საარტილერიო და 8 სანალმტყორცნო ბატარეა. გერმანელებს წაგავთვეთ 3 ტანკი, 40 ქვემეხი, 110 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. წამოყვანილია 250 ტყვე.

ჩვენი ავიაცია მასირებულად ურტყამდა მტრის საბრძოლო წყობილებებს. დამსხვრეულია და დაზიანებულია ბევრი საველე და საჭურველი ქვემეხი, 100-ზე მეტი ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად და ტვირთიანად და აფეთქებულია საწვავის დიდი საწყობი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 11 თვითმფრინავი.

* * *

პენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონას. გახალებულ ბრძოლაში პარტიზანებმა რამდენიმე ათეული ჰიტლერელი დახოცეს. მტერი ცდილობდა გასულიყო ბრძოლიდან, მაგრამ მას სროლა აუტეხა საფარში მყოფმა პარტიზანთა მეორე ჯგუფმა. გერმანელებმა იარაღი დაყარეს და გაიქცნენ. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს მსხვილი ყალიბის ტყვიამფრქვევი, ბევრი შაშხანა, ავტომატი, გრანატი და ვაზნა. დოვატორის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ნაღმებზე ააფეთქა 2 ავტომანქანა ტვირთებიანად და ლანდაგიდან გადაგდო ფრონტზე ნიმავალი სარკინიგზო ეშელონი ჯარებიანად. ორთქლმავალი და 8 ვაგონი ფერდობზე გადავარდა. მოკლული და დაჭრილია დიდძალი ჰიტლერელი.

* * *

გერმანელთა 304-ე ქვეითი დივიზიის 574-ე გრენადერთა პოლკის მე-14 ასეულის ტყვე ჯარისკაცებმა პაულ სმიჩკემ და იოსებ კინგმა განაცხადეს: „გერმანიის სარდლობის ცნობებში ხშირად იუწყებიან ჯარიანი „გეგმაზომიერი უკანდახევის“ შესახებ აღმოსავლეთის ფრონტზე. რეგვენი უნდა იყო, რომ ასეთ ზღაპრებს დაუჯერო. როდესაც უკან ვიხევდით, ამბეულმა ოფიცრებმა არ იცოდნენ, რა ექნათ. ყველა ნერვიულობდა, ფუსფუსებდა და იჩქროდა. გზები გაჭედილი იყო. ჯარისკაცთა ჯგუფები თვითნებურად სტოვებდნენ თავიანთ ქვეგანაყოფებს. დეზერტირობა საშიში ოდენობისა გახდა და სარდლობამ გამოიყო გადამღობი რაზმები, რომლებიც გზებში იცავდნენ ჯარისკაცებს. უკანდახევის განმავლობაში ჩვენ მძიმე ზარალი მოგვივიდა. 12 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხიდან ჩვენმა ასეულმა 10 ქვემეხი მიატოვა. 574-ე პოლკი დამარცხებულია. მასში დარჩა კაპიტან ნეიმანის ერთი ნაკრები ბატალიონი, რომელშიც 90 კაცი ითვლება. 573-ე პოლკიდან მწყობრში სულ 40 ჯარისკაცი-ღა დარჩა. სწორი ინება ეთქვათ, რომ ჩვენს დივიზიას უკან როდი დაუხევია, იგი მოსპობილ იქნა“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ნაგვრევების გროვად აქციეს ვიტებსკის ოლქის სოფელ იანოვიჩი. ოკუპაციის განმავლობაში ფაშისტურმა სადამსჯელო რაზმებმა და ჯალათებმა გერმანიის კომენდატურიდან აწამეს, დახვრიტეს და ჩამოახრჩეს სოფლის ბევრი მცხოვრები. როდესაც შემტევი წითელი არმია იანოვიჩს უახლოვდებოდა, სოფლის კომენდანტმა კაპიტანმა დიმანმა გამოჰყო „მეჩიჩალდნეთა“ სპეციალური რაზმი ყველა შენობისა და ნაგებობის მოსასპობად. ჰიტლერელმა არამზადებმა 600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი დასწვეს. სოფელში არ გადარჩენილა არც ერთი მთელი შენობა. 2.000 მცხოვრებიდან მარტო 250 კაცი დარჩა.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ანტონი იდენი

21 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ანტონი იდენი.

საუბარს დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კ. კერი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი

21 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი იმასთან დაკავშირებით, რომ მან თავისი რწმუნების სიგელები უნდა გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ბ-ნ კორდელ ჰელისა და ბ-ნ ანტონი იდენის პატივსაცემად

20 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ბ-ნ კორდელ ჰელისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ანტონი იდენის პატივსაცემად.

საუზმეს დაესწრნენ: ბ-ნი კ. ჰელი, ბ-ნი ა. იდენი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანაშემწე ბ-ნი ვ. სტრენგი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კონსულტანტი უფლებრივ საკითხებში ბ-ნი ჰ. ჰეკვორტი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური მრჩეველი ბ-ნი დ. ს. დენი, გენერალ-ლეიტენანტი ჰ. ლ. ისმეი, გენერალ-მაიორი დ. რ. დინი და სხვა პირნი, რომელნიც თან ახლავან ბ-ნ კ. ჰელსა და ბ-ნ ა. იდენს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოთა თანამშრომელნი. საბჭოთა მხრივ დაესწრნენ—ამხანაგები: მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, მ. მ. ლიტვინოვი, ა. ჯ. კორნეიჩუკი, ს. ი. ქავთარაძე, ვ. ა. სერგეევი, გენერალ-მაიორი ა. ა. გრიზლოვი, ა. პ. პავლოვი, მ. ა. სილინი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომელნი.

თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა ბ-ნმა ჰ. რ. ბაიდურმა რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კალინინს

20 ოქტომბერს დღის 1 საათზე კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი ჰ. რ. ბაიდური, რომელმაც მას თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ბ-ნ ჰ. რ. ბაიდურს ახლდნენ საელჩოს სამხედრო ატაშე, მაიორი შ. ზობუ, საელჩოს 1-ლი მდივანი ბ-ნი მ. დამბელი, საელჩოს 1-ლი მდივანი ბ-ნი ა. ბერკკი, საელჩოს მე-2 მდივანი ბ-ნი შ. კუნტი და საელჩოს მე-2 მდივანი ბ-ნი შ. ილმაზი, რომელნიც ელჩმა ამხ. მ. ი. კალინინს წარუდგინა:

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. ი. ქავთარაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. ა. ი. ლავრენტიევი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გ. ი. ფომინი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინს საუბარი ჰქონდა ბ-ნ ჰ. რ. ბაიდურთან.

სსრ კავშირის ელჩმა ბ-ნმა ჰ. ლ. ისმეიმ ბ-ნ ანტონ იდენს

21 ოქტომბერს ბ-ნ ანტონ იდენს ეწვია სსრ კავშირის ელჩი ბ-ნი ჰ. ლ. ისმეი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი

21 ოქტომბერს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი.

ინგლისის ელჩმა ბ-ნმა ა. კ. კერმა ბ-ნ ანტონ იდენს

21 ოქტომბერს ბ-ნ ანტონ იდენს ეწვია ინგლისის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი.

ბ-ნ ანტონ იდენი

21 ოქტომბერს ბ-ნ ანტონ იდენს ეწვია ინგლისის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი.

ინგლისის ელჩმა ბ-ნმა ა. კ. კერმა ბ-ნ ანტონ იდენს

21 ოქტომბერს ბ-ნ ანტონ იდენს ეწვია ინგლისის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი.

ბ-ნ ანტონ იდენი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

20 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს იგერიებდნენ, ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქ მელიტოპოლის ქუჩებში და რამდენიმე უბანი დაიკავეს. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ქალაქ კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 5-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ნიკოლაევკა, ორეხოვკა, ძაბატერინოვკა, ზელიონოე, პოლტავო-ბოგოლიუბოვკა, კრასნაია ვოლია, კოვბისაროვკა, ლოზოვატკა, ნოვაია ანდრეევკა, შევჩენკოვო და რკინიგზის სადგურები ჟოლტიე ვოდი, კასინოვკა, ტიუჩენკოვი.

კიევის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს იგერიებდნენ და ბრძოლებს განაგრძობდნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად.

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად და დაიკავეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები მოხოვო, კოლპენი, სენსკაია, ბოროვიცი, პოგორელოეი და პროგრესი.

გომელის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მდინარე სოჟის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად და პოზიციები გაუმაგრეს.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული ზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლაა.

19 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 85 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 45 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ მელიტოპოლის ქუჩებში გრძელდებოდა ბრძოლები. გერმანიის ქვეითი ჯარი, ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით გაძლიერებული, ცდილობდა დაებრუნებინა წინადღით დაკარგული პოზიციები. ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის 20-მდე კონტრიერიში მოიგერიეს. ჩვენმა მებრძოლებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე უბანი გასწმინდეს გერმანელებისაგან. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში გაელიტლია 1.200 ჰიტლერელი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 38 ტანკი და 6 თვითმაგალი ქვემეხი.

* * *

ქალაქ კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. გარღვევის რაიონში მოწინააღმდეგე სასწრაფოდ უყრის თავს დიდ ძალებს ფრონტის სხვა უბნებიდან. 6 შენაერთის მებრძოლებმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს, მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს და 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. მოკლულთა შორის არის გერმანიის 23-ე სატანკო დივიზიის მეთაური. დაზიანებული და მოსპობილია მოწინააღმდეგის 26 ტანკი. რკინიგზის სადგურ ჟოლტიე ვოდში ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 24 ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი, მარცვლეულის დიდი საწყობი და სხვა დაკლა.

დღეს მოწინააღმდეგემ ავიაციის დიდი ძალები მოიყარა საბჭოთა ჯარების მიერ გარღვეულ ფრონტის რაიონში. ჩვენი მფრინავები აქტიურად ეხმარებოდნენ სახმელეთო ჯარების მოქმედებას და დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 23 თვითმფრინავი.

* * *

კიევის ჩრდილოეთით ჩვენ ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად. 6 შენაერთის ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. გერმანელებმა კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ ჩვენი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლისაგან დიდი ზარალი მოუვიდათ და უშედეგოდ დაიბიეს უკან. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა ორი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად ორი დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს, მოსპობილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 11 ტანკი, 2 თვითმაგალი და 57 საველე ქვემეხი, 260 ავტომანქანა და 400-მდე სახიდარი. წამოიღებულია დიდი დაკლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად. ერთ უბანზე გერმანელებმა კონტრიერიში მოიტანეს. 6 ნაწილის მებრძოლებმა მტერი უკუაგდეს, უკანდახეულ ჰიტლერელებს დაედევნენ და ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი კოლპენი დაიკავეს. მათ ხელთ იგდეს 12 ქვემეხი, სამარი მასალის საწყობი, მრავალი შაშხანა და ავტომატი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, რომელთათვის წარმოებულ ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დაკლა.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 11 თვითმფრინავი.

* * *

ბარენცის ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის 3 თვითმავალი კარჭაპი და საგუშაგო კატერი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანიის 7 თვითმფრინავი.

შავ ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 5.000 ტონა წყალწყვისა და მშრალი ტვირთის 2 კარჭაპი.

* * *

ვოლინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ორი დღის განმავლობაში ნაღმებზე აფეთქა გერმანელთა 3 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 2 ორთქლმავალი, ტანკებითა და ავტომანქანებით დატვირთული 16 პლატფორმა და სხვადასხვა სამხედრო ქონებით დატვირთული 18 ვაგონი. უუჟოვის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ოქტომბრის პირველი კვირის განმავლობაში გზატკეცილზე აფეთქა 6 სატვირთო და 1 მუბუქი ავტომანქანა. ჩასაფრებულმა პარტიზანებმა 33 გერმანელი ჯარისკაცი და 4 ოფიცერი გაელიტეს.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობის შესახებ, რაც გერმანელ ფაშისტ არამზადებს ჩაუდენიათ ქალაქ ლოზოვაიაში: „გერმანელებმა ადგილობრივ ბინადრებს ბრძოლებმა და ტანჯვა მიაყენეს ქალაქის მოსახლეობას ოკუპაციის განმავლობაში. აღვირაშეებული ფაშისტი ბანდიტები ძარცვავდნენ, სტანჯავდნენ და ხოცავდნენ მშვიდობიან მცხოვრებთა. ჰიტლერელი ჯალათების ხელით დაღუპულთა ზუსტი რაოდენობის გამოკვლევა ძნელია. დღითი დღე ირკვევა ახალ-ახალი ბოროტმოქმედება და მკვლელობა, რაც გერმანელ ჯალათებს ჩაუდენიათ. არასრული ცნობებით, გერმანელებმა ქალაქის 4.000 მცხოვრები გარეკეს გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე. სექტემბრის დასაწყისში გესტაპოელებმა დიდძალი ხალხი დააპატიმრეს. ეაგონსარემონტო ქარხნის მუშა ივანე დოროფეევი ჰიტლერელებმა საშინლად აწამეს, ხოლო შემდეგ მოჰკლეს. ხნიერმა ქალმა, „ტრანსტორგბიტის“ თანამშრომელმა ვიქტორია შევჩენკომ სცადა დანგრევისაგან გადაერჩინა რკინიგზის ნაგებობანი და გადასჭრა მავთულები, რომლებითაც ელექტროწყაროსთან შეერთებული იყო ფეთქებადი მასალა. საშინელი დამცირებისა და წამების შემდეგ გერმანელებმა დახვრიტეს შევჩენკო და მისი შვილი იური.

გერმანელმა ბანდიტებმა ქალაქის ყველა საზოგადოებრივი შენობა აიფეთქეს. მათ დაანგრიეს ყველა სკოლა, დასწვეს ქალაქის პოლიკლინიკა, კულტურის სასახლე, თეატრი, სტახანოველთა სახლი, აიფეთქეს ელექტროსადგური, სახელოსნოები, დეპო, ეაგონსარემონტო და ლოკომოტივების ქარხანა, ელევატორი, ორი მექანიზებული წისქვილი და სხვა საწარმონი. ფაშისტმა არამზადებმა წყალსადენი მოსპეს, ხოლო ეები მკვდარ ცხოველთა ლეშით ამოავსეს. „ცეცხლის წამკიდებელთა“ სპეციალურმა რაზმებმა ქალაქის საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი დაწვეს“.

აქტს ხელს აწერენ: ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ნ. კოლესნიკი, ეკონომეკოს სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებლები — ბ. ლოტოცკაია და ო. პოლშინსკაია, ქალაქის საავადმყოფოს ექიმები — ხ. კრასინა და მ. იარცევა, დეპოს ინჟინერი ე. ფროლოვი, კონდუქტორთა ბრიგადის უფროსი ო. პეტროგოროდა, დეპოს ზეინკალი ხაბატოვი, დიასახლისები — ე. დუბინა, ა. ლისენკო და სხვანი.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲑᲘ

სხვადასხვა ᲡᲐᲜᲐᲛᲔᲠᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 18 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა სტეტინიუსმა შემდეგი ოფიციალური განცხადება გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს:

„სახელმწიფო მდივანი და ამერიკის დელეგაციის სხვა წევრები მოსკოვს ჩავიდნენ სამთა კონფერენციაზე. იმის შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო მეტ ჰარმონიას მივაღწიოთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სსრ კავშირის მთავრობათა შორის უკვე არსებულ თანამშრომლობაში, რაც გვეძლევა ამ კონფერენციის მოწვევის შედეგად, ყველანი მხურვალედ მიესალმებიან. დარწმუნებული ვარ, რომ გულახდილი და მეგობრული განხილვა, რაც კონფერენციაზე მოხდება, საშუალებას მისცემს სამ სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტად შეათანხმონ თავიანთი ღონისძიებანი იმ მიზნის მისაღწევად, რომლისკენაც ჩვენ ყველანი მივისწრაფვით, — სავსებით დავამტკიცოთ ულმობელი ნაცისტები და დავამყაროთ სამართლიანი, მტკიცე მშვიდობიანობა, რომლის დროსაც ყველა ქვეყანა აყვავდება აგრესიის საფრთხისაგან თავისუფალ სამყაროში“.

კორესპონდენტთა შეკითხვაზე — შეტანილია თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში სამხედრო საკითხებიო, სტეტინიუსმა აღნიშნა, რომ ამკამად მას არ შეუძლია ამაზე ლაპარაკი. კორესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს ის უკანტი, რომ უკანასკნელ ხანს საბჭოთა პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა მეორე ფრონტის საკითხს და შეეკითხნენ—ეკუთვნის თუ არა ამის გამო რაიმე როლი გენერალ-მაიორ ჯონრ. დინს, რომელიც თან ახლავს ჰელს. სტეტინიუსმა უარი განაცხადა პასუხი გაეცა ამ კითხვაზე.

შეკითხვაზე — ძალაში რჩება თუ არა კვებეკში შუმდგარ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებანიო, სტეტინიუსმა სთქვა, რომ მისი აზრით, ეს გადაწყვეტილებანი ძალაში რჩება.

ᲘᲠᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲰᲔᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲓᲔ ᲒᲝᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 20 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ალჟირიდან გადმოგვცემს, მოსკოვში ალჟირზე გზად მიმავალი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტერი იდენი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰელი გენერალ დე გოლს და საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლებას კომიტეტის საგარეო საქმეთა კომისარ მასილიის ეთანამბრძოლნენ.

ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 20 ოქტომბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ იტალიაში ინგლისის 8-ე არმიის მთელი ფრონტის გასწვრივ, ტერმოლის დასავლეთით, პატრუულების შეტაკებაა. დაკავებულია პუნქტი პეტაჩატო. მონტეჩილფონესთან მოგერიებულია მტრის კონტრიერიში. მდინარე ვოლტურნოსათვის ბრძოლა დამთავრებულია. ამერიკის მე-5 არმია წინწაწევას განაგრძობდა. დაკავებულია პუნქტები — დრაგონი და როკარომანო.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 20 ოქტომბერი (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 19 ოქტომბერს ღამით გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავმა ინგლისის სამხრეთი სანაპირო გადალახა და ლონდონის რაიონში გამოჩნდა. ერთმანეთს დაშორებულ რამდენიმე პუნქტში ჩამოყრილმა ბომბებმა ერთგვარი ზარალი და მსხვერპლი გამოიწვიეს.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ „ᲥᲛᲣᲜᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲒᲔᲜᲯᲐᲕᲡ“ ᲓᲐ ᲘᲒᲘ „ᲨᲘᲨᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ“

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 20 ოქტომბერი (საკდესი). რუმინეთის გაზეთები სავსეა სტატიებით, რომლებიც რუმინეთის მოსახლეობას მოუწოდებენ — ნუ დაჰკარგავს გამარჯვების რწმენას და ნუ მიეცემა შიშსა და პანიკას. „რაკი ომში ჩავებით, — სწერს გაზეთი „არგუსი“,—მოვალენი ვართ საბოლოო გამარჯვების რწმენა გვქონდეს. თუ ეს რწმენა არ გვექნება, ფრონტსა და ზურგს ნაადრევი გაბრწნა მოელის“.

მაგრამ, როგორც თვით რუმინეთის გაზეთების სტატიებიდან სჩანს, გამარჯვების რწმენა სულ უფრო და უფრო ირყევა. გაზეთი „კაპიტალა“, რომელიც ბუქარესტში გამოდის, თავს ესმის რუმინელებს იმისათვის, რომ ისინი „უადგილო კითხვების“ მიცემის მიდრეკილებას და „მეტისმეტ ყბედობას“ იჩენენ. გაზეთი მოსახლეობას ემუქრება და აცხადებს, რომ „გერმანიის გამარჯვების რწმენის უქონლობა ფალატად იქნება მიჩნეული“. გაზეთმა „კურენტულმა“ მოათავსა სტატია, რომელშიც ნათქვამია: „ადამიანის ნერვები ასე სასტიკად ჯერ არასოდეს არ ყოფილა დაძაბული. ჩვენი ჰორიზონტები დღემდე არასოდეს არ ყოფილა ასე მოღუშული“. გაზეთი აცხადებს, რომ ყოველივე ამის გადატანა ადვილი იქნებოდა, „რომის იმპერიის დროს მსგავსად რომ არა ყოფილიყო ინფორმაცია“. მაგრამ ახლა, — ჩვენის გაზეთი, — „ყველა რადიოსადგური ახალ ამბებს ავრცელებს, მოსახლეობა ამ ამბებს ისმენს, შიშს განიდევნ და კატასტროფას მოელის. ეს წყეული მოლოდინი მძიმე დაბომბვაზეც კი უარესია“. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ფრონტიდან მიღებული ცნობების გავლენით რუმინელებს „ჭმუნვარება სტანჯავს, ისინი ხარბად უსმენენ უცხოეთის პროპაგანდას და სრულიად არ ესმით რუმინეთის პრობლემა“. სტატია თავდება ხელისუფალთადმი მოწოდებით — მოაწყონ უაღრესად სასტიკი მეთვალყურეობა მოსახლეობის ყოფაქცევისადმი.

წინასაოქტომბრო შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠ.). რაიონის კოლმეურნეები საქმიანად გამოეხმაურნენ აზერბაიჯანის სსრ აღდამის რაიონის კოლმეურნეთა ინიციატივას წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. სოფელ მუხათგვერდის ოქელაშვილის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. თეთრაძე), რომელმაც წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში გამოიწვია მცხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, იკისრა: ვეგმის გადამეტებით დასთესოს 10 ჰექტარი თავთავიანი კულტურები და ვადამდე შეასრულოს მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმა პირუტყვის ყველა სახეების მიხედვით.

წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა ვლ. ახალაშვილი, გაანაღდა სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. გეგმის გადამეტებით 17 ოქტომბრისათვის დასთესა თავთავიანი მარცვლეული კულტურები 8 ჰექტარზე. კოლმეურნეობამ შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა მსხვილფეხა რქიანი საქონლის დარგში 101,9 პროცენტით, ცხვრისა და თხის — 138,3 პროცენტით, ღორისა — 222,2 პროცენტით, ამასთან 100 პროცენტით შესრულებულია მუშა-ხარის, ძროხების, დედა-ცხვრისა და დედა-ღორის მოშენების წლიური გეგმები, აგრეთვე შესრულებულია უხეში და კონცენტრირებული საკვების დაგროვებისა და საკვების დასილოსების გეგმა. კოლმეურნეობამ აიღო ვალდებულება ცხენისა და ფრინველის მოშენების წლიური გეგმა შეასრულოს 1 ნოემბრამდე და 10 ნოემბრამდე ააგოს პირუტყვის ახალი ბინა 50 სულის ტევადობისა.

წარმატებით ანაღდებს სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს სოფელ ზემო ნიბილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. კვერცხიშვილი), რომელმაც საშემოდგომო თავთავიანი კულტურები დასთესა 140 ჰექტარზე (გეგმის 87,5 პროცენტი). კოლმეურნეობამ აიღო ვალდებულება აშენოს ოქტომბრის თესვა ადრეულ დღეებში დაამთავროს. ამ ვალდებულების განაღდებისათვის ენერგიულად იბრძვიან. წითელი არმიის მებრძოლთა დედები — ნადია და მარუსა კანდელაკები, ელიჩკა კვერცხიშვილი,, მარუსა გალუსტაშვილი, თამარ ბიჭიაშვილი და სხვ. სიმინდის აღების დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

აკ. ჭირია

ულიანოვკის მტკ.ის მოწინავე ტრაქტორისტი ქალი ᲐᲜᲐ ᲙᲝᲚᲔᲡᲐᲫᲔᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 150-200% ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

საკ. აღკკ XXV წლისთავისათვის

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲒᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲔᲑᲘ

— ყველას! ყველას! ყველას!—ასე იწყება გმირული შრომით აღსავსე დღის დამთავრება შემდეგ კალინინის სახელობის ქარხანაში გამოსული ყოველდღიური ბიულეტენი „ელვა“. იგი ქარხნის მთელ კოლექტივს მოკლედ და სხარტად მოუთხრობს იმ საწარმოო გამარჯვებების შესახებ, რასაც ყოველდღიურად აღწევს სტახანოვურ ვახტზე მდგომი ქარხნის ახალგაზრდობა. დავალების 300, 400, 1.000 და მეტი პროცენტი—აღნიშნულია ამ ფურცლებში. ამ გამარჯვებებს ქარხნის კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა სახელოვანი ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლის თავს უძღვნიან.

ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია (კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ალმოევი) კომკავშირის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის აღებულ ვალდებულებათა გასანაღდებლად ენერგიულად იბრძვის. ქარხანაში ჩამოყალიბებულია 6 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. ინიციატივიანი, ორგანიზებული მუშაობით ისინი მადალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ. ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი ვ. ისაკოვი ხელმძღვანელობს, 250 პროცენტის ნაცვლად ყოველდღიურად დავალების 300-400, და ცალკეულ დღეებში 600 პროცენტს იძლევა. ს. აგალაროვის ბრიგადამ სექტემბრის გეგმა 200 პროცენტის ნაცვლად 290 პროცენტით შეასრულა. კიდევ უფრო დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა კომკავშირელ ი. ლანგის ბრიგადამ. მან სექტემბერში გეგმის 350 პროცენტი მოგვცა.

23 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა არის ჩაბმული ინდივიდუალურ შეჯიბრებაში. პირველი საამქროს კვალიფიციური ზინკალი, კავშირგარეშე ახალგაზრდა პ. ხუციშვილი ქარხანაში სახელოსნო სასწავლებლიდან მოვიდა. კომკავშირის XXV წლისთავს აღსანიშნავად მან იკისრა ყოველთვიური დავალების 200 პროცენტით შესრულება. 24 სექტემბერს ბიულეტენმა „ელვამ“ ქარხნის მთელ კოლექტივს მოკლედ და ნათლად ამბ. პ. ხუციშვილის ფიცი საწარმოო გამარჯვება—მან სტახანოვურ ვახტზე დღის გეგმა 1.075 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორე დღეს დავალების 1.290 პროცენტი მოგვცა. ამხ. პ. ხუციშვილი ემზადება ლენინურ-სტალინური კომკავშირის რიგებში შესვლისათვის.

კომკავშირელი მღარავი ვ. პავლოვი 3 დაზგაზე მუშაობს და სამი დაზგის გეგმას ვალდებულებით აღებული 200 პროცენტის ნაცვლად 350 პროცენტით ასრულებს.

ამ დღეებში ბევრი ახალგაზრდა დაწინაურდა. ხარატი ი. მირზაშვილი ივლისსა და აგვისტოში გეგმას ვერ ასრულებდა. მას დაეხმარნენ საამქროს ოსტატები, გვერდში მომუშავე ამხანაგები. როცა ქარხნის ახალგაზრდობამ კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად ახალი ვალდებულება აიღო, მირზაშვილიც ჩაება შეჯიბრებაში და იკისრა დავალების 150 პროცენტით შესრულება. ოქტომბერში იგი 3 დაზგაზე გადავიდა და სამივე დაზგის დავალებას 200 პროცენტით ანაღდებს.

ქარხნის ახალგაზრდობა სახელოვანი კომკავშირის XXV წლისთავისათვის აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებს. უკვე ყველა კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა გეგმას მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს.

სტახანოვურ ვახტზე მდგომი ქარხნის ახალგაზრდობა ამჟამად იბრძვის მიღწეულ წარმატებათა გამრავლებისათვის.

გ. კალანდაძე

საერთაშორისო მიმოხილვა

გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, რომლებიც წითელი არმიის დარტყმებით უკან იხევენ დასავლეთისაკენ, ეერასგზით ვერ მოუხერხებიათ „სულის მოთქმა“.

შესვენების ხერდილი, რომელზეც მტერი ოცნებობს, ის იყო მოეჩვენა მას ოქტომბრის პირველ კვირაში, როდესაც დადგა მცირე პაუზა, რაც ჩვენი ჯარებისათვის საჭირო იყო ზურგის წასაწყობად. ბერლინის პრესა მოსულიერდა, ფაშისტურ გაზეთებში გამორნდა სტატიები იმის შესახებ, რომ „დამთავრდა უდიდესი უკანდახევა, როგორიც კი როდისმე ისტორიას ახსოვს“. გერმანიის რადიომ ამცნო, დნეპრი—აი დაუძლეველი ზღუდე, რომლის გადალახვაც შეუძლებელიაო. მაგრამ, როგორც სიმღერაშია, „დიდ ხანს როდი უკრავდა მუსიკა, დიდხანს როდი გასტანა ბალმა, მეჯლისმა“.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უკვე 7 ოქტომბრის ოპერატიულ ცნობაში აღინიშნა, რომ ჩვენმა ჯარებმა კვლავ გაანაღეს შეტევითი ბრძოლები მთელს ფრონტზე ვიტებსკიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე. ორი დღის შემდეგ ჰიტლერელ დამპყრობთაგან სავსებით გაწმენდილ იქნა ტამანის ნახევარკუნძული და ლიკვიდირებულ იქნა მათი პლაცდარმიც ყუბანში. 14 ოქტომბერს საბჭოთა ჯარებმა იერიშით დაიკავეს ქალაქ ზაპოროჟიე, გერმანელთა ერთ-ერთი გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი დნეპრის ქვემოწელში. ბრძოლები სწარმოებს მელიტოპოლის ცხრჩებში. დნეპრი წარმატებით არის გადალახული რამდენიმე ადგილას, გარღვეულია მტრის თავდაცვა კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ბოგოელის სამხრეთით.

ახლა, როდესაც წითელი არმიის მებრძოლების მიერ გაქარწყლებულია ჰიტლერელთა იმედი შესვენებისა, გებელსური პროპაგანდა სავსებით აიბრა და მარტო იმით კმაყოფილდება, რომ ახალ მუქარას არ ზოგავს „მოწუწუნეებისა“ და „ხმების გამავრცელებლების“ მიმართ. ჰიმლერი გებელსის მუქარას ადასტურებს სულ ახალ-ახალი სიკვდილით დასჯით, რომელთა შესახებაც დღითიდღე იტყობინება რადიო და პრესა.

გერმანიაში ახლა გამეფებულ განწყობილებაზე სწერდა ამ დღეებში ჩეეიულერიანად კარგად ინფორმირებული შვეიცარიული გაზეთი „არბაიტერ ციტუნგი“. „სულიერად დაეცა,—ნათქვამია „ნიუ ეიზ ზურიხერ ციტუნგში“,—ბევრი თავგადადებული ჰიტლერელიც კი. ამას, კერძოდ, ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სასურსათო მდგომარეობა გერმანიაში უარესდება. გერმანიის მოსახლეობა დიდი შეშფოთებით შესცქერის მომავალს. ფართოდ არის გავრცელებული ურწმენობა გერმანიის გამარჯვებისადმი. დამარცხების მომხრეობა ეპიდემიასავით ვრცელდება, განსაკუთრებით დაბომბვისაგან დაზარალებულთა შორის და იმ მოსახლეობაში, რომელიც იძულებულია თავშესაფარ მისცეს უსახლკაროდ დარჩენილთ. ჯარისკაცებშიც აღინიშნება სულიერად დაცემა, რაც ძლიერდება იმით, რომ ჯარისკაცთა ბევრი ოჯახი დაბომბვის დროს დაიღუპა“. მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობს გერმანიის ქალაქების დაბომბვას. უკანასკნელ დღეებში დაიბომბა შტუტგარტი, ჰანოვერი, ბრემენი, ბერლინი, მარიენბურგი, მიუნსტერი, კრეფელდი, შვაინფურტი. მოკავშირეთა ავიაციამ რეიდები მოაწყო აგრეთვე გერმანელ ოკუპანტთა სანზღერო ობიექტებზე პოლონეთში, საფრანგეთსა და გერმანელების მიერ დაპყრობილ სხვა ქვეყნებში.

* * *

იტალიის მიერ ჰიტლერული გერმანიისათვის ომის გამოცხადება ახალი რგოლი გახდა გერმანელი ფაშისტების პოლიტიკურ და სამხედრო დამარცხებათა განუწყვეტელ წყებაში. იტალიის, როგორც ერთობლივად მეომარი მხარის, ჩადგომა ანტიჰიტლერული კოალიციის ფრონტში, მოასწავებს „ღერძის“ უბადრუკ დასასრულს ევროპაში, იგი აძლიერებს დაჩაჭაჭულობას მთელს ფაშისტურ ბანაკში. მდგომარეობა იტალიაში ზღვრული სიცხადით გამჟღავნდა, იტალიაში შეგრილ ჰიტლერელთა მხარეზე, რომლებმაც რომსა და დაპყრობილ პროვინციებში მხეცური საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს, დარჩა გარიყული ყოფილი „დუჩე“ მუსოლინი ერთ მუჭა სახელმწიფო მოღალატეებიანად. გაერთიანებული ერების მხარეზეა იტალიელი ხალხი, არმია (რომელშიც სულ მცირე 10 სრულფასოვანი დივიზიაა), სამხედრო-საზღვაო ფლოტი (100-ზე მეტი ხომალდი, მათ შორის 6 სახაზო გემი, 11 კრეისერი და მთელი რიგი სხვა ხომალდები) და სავაჭრო ფლოტი. რომშიც და ჩრდილოეთ იტალიაშიც მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევს გერმანელებს. ბევრ რაიონში პარტიზანული რაზმები მოქმედებენ იტალიელთა რეგულარულ ჯარებთან ერთად.

* * *

წითელი არმიის შეტევასთან და ხმელთაშუა ზღვის რაიონში მოკავშირეთა წარმატებებთან უშუალოდ დაკავშირებულია მოვლენები, რომლებიც ადრიატიკის ზღვის მეორე ნაპირზე—იუგოსლავიაში განვითარდა. იუგოსლავიელ პატრიოტთა ნაწილებს, რომელთა მხარეზეც გადავიდა იტალიელთა ზოგიერთი შენაერთი, ამჟამად უჭირავთ თითქმის მთელი სანაპირო, ფიუმედან ალბანეთის საზღვრამდე, ოკუპანტთაგან გაწმენდილია დალმაციის, ბოსნიის, ჰერცეგოვინის, ჩერნოგორიის ვრცელი რაიონები. ჰიტლერული პრესა მწუხარებით ლაპარაკობს იუგოსლავიელ პატრიოტებზე, როგორც „წყლულზე“, რომელიც ღრღნის გერმანელთა პოზიციებს ბალკანეთში.

* * *

გერმანელთა დამარცხებანი და მძიმე კრიზისი, რასაც ფაშისტური ბლოკი განიცდის, აალიერებენ ჰიტლერული გერმანიის იზოლაციას.

ნეიტრალური ქვეყნების პოზიციის დამახასიათებელია ის შეთანხმება, რაც ამ კვირაში დადებულ იქნა ინგლისსა და პორტუგალიას შორის ინგლისის შეიარაღებული ძალების მიერ აზორის კუნძულების გამოყენების შესახებ.

ეს კუნძულები, რომლებიც პორტუგალიას ეკუთვნიან, მდებარეობენ ატლანტიის ოკეანის ცენტრში, ამერიკის, ევროპისა და აფრიკის უმოკლესი გზების შესაყარზე. ეთი სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც ბაზისა, რომლებიც აადვილებენ ბრძოლას ერთნაწილთა წყალქვეშა ნავების მეკობრულ მოქმედებასთან ატლანტიკაში, უაღრესად დიდია. აზორის კუნძულებს იყენებენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები.

ერთადერთი რამ, რაც ჰიტლერულ ბანდას შეეძლო ჩაედინა ჩვენი მოკავშირეების მიერ აზორის კუნძულების გამოყენების შესახებ შეთანხმების საპასუხოდ, ის იყო, რომ პორტუგალიის მთავრობისათვის განეცხადებინა „უაღრესად მკვეთრი პროტესტი“, რასაც თან ახლდა მუქარა. მაგრამ საქმე მუქარას არ გასცდება. გერმანელ ფაშისტებს ხელი არ მიუწვდებათ აზორ